გაიმარჯვეს მინსკელებმა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 25 მარტი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (მინსკი) 1:2 (0:0).

თბილისი: გაბელია, ხიზანიშვილი (კოსტავა), ჩივაძე, ხინჩგაშვილი, თავაძე, ჭილაია (ჟვანია), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, გოლოვნია, პროკოპენკო, გურინოვიჩი, პუდიშევი, პავლოვი, გოცმანოვი (რუმბუტისი), ვასილევსკი.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია გოცმანოვი.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი, სასტარტო მატჩი მინსკის თანაკლუბელებთან თბილისელმა ფეხბურთელებმა დაიწყეს მეტად დაძაბულ ტემპში, ბურთის დაყოვნებული გადაცემებით, ზედმეტი სიფრთხილით. ამის გამო ტაიმი ფაქტიურად მიმდინარეობდა ისე, როგორც ეს სტუმრებს აძლევდა ხელს: გაუმწვავებლად, დაყოვნებებით, კარში იშვიათი და არაზუსტი დარტყმებით.

ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო ყიფიანის დაწევა უკან, ნახევარდაცვის ხაზის სიღრმეში და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ გუცაევი ნაკლებ ხიფათს უქმნიდა მეტოქის კარს, წინა ხაზზე შემტევი მოთამაშის როლს ასრულებდა მხოლოდ შენგელია, ეს კი საკმარისი არ იყო მინსკელთა ღრმად ეშელონირებული, კოლექტიური დაცვის დასაძლევად. ამას უნდა დავუმატოთ, რომ მასპინძელთა განაპირა მცველებიც თითქმის სრულიად არ მონაწილეობდნენ შეტევაში, ხშირად ფერხდებოდნენ ცენტრალურ ზონაში ნახევარმცველებიც.

თამაში აეწყო მხოლოდ მეორე ტაიმში. ყიფიანმა გადაინაცვლა უშუალოდ იერიშის ხაზზე, რამდენიმე შორეული რეიდი განახორციელა ჩივაძემ, მინსკელებს თანდათან უჭირდათ მეტოქის შეტევების მოგერიება, 65–ე წუთზე მათ აშკარად უხეშად ითამაშეს გუცაევის წინააღმდეგ, რისთვისაც სამართლიანად დაინიშნა პენალტი. ყიფიანმა ზუსტად დაარტყა მიზანში – 1:0.

თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა: თბილისელები უტევდნენ, გოლიც გაიტანეს, იერიშები არ ცხრებოდა, მაგრამ მინსკის "დინამო" კერკეტი კაკალი გამოდგა. სტუმრებს არც უფიქრიათ "ჩაბღაუჭებოდნენ" მინიმალური ანგარიშით წაგებას, გუნდი ეპიზოდური კონტრშეტევებიდან გადავიდა სწრაფ იერიშზე და მე–8 წუთზე მარჯვენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაცია დამთავრდა ცენტრში გადაცემით. აქ თბილისელთა მცველები დროზე ვერ გაერკვნენ სიტუაციაში და გურინოვიჩმა ახლო მანძილიდან გაქვითა ანგარიში – 1:1.

მასპინძლებს ხელიდან ეცლებოდა ქულა, ამიტომ ბოლო წუთებზე მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. გადამწყვეტი ბურთის გატანა შესაძლებელი იყო, მაგრამ დარტყმები საგრძნობი მანძილით ცდებოდა კარს, 89–ე წუთზე კი სტუმრებს ახალი წარმატება მოუტანა სწრაფმა, მოულოდნელმა კონტრიერიშმა.; თბილისელთა მცველებმა ვერ მოასწრეს სწორი პოზიციის დაკავება და პროკოპენკომ კარგად გამოიყენა ეს ვითარება – ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა მინსკის "დინამომ".

რ. ქორიძე.
"ლელო", 26 მარტი 1981 წ.